სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-70

ქ. თბილისი

29.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და სწავლის ახალი პირობების განსაზღვრის თაობაზე განცხადებების დაწერის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 20 თებერვალი;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მიერ სწავლის გაგრძელების ახალი პირობების განსაზღვრის თაობაზე განცხადების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 9 მარტი;
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო

ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესის სკოლას.

რექტორი გიგა ზედანია